



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080104441321319

№ 3321

05 / აგვისტო / 2019 წ.

შპს „რეალ ენერჯი Real energy“-ის გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT190004086;

შესყიდვის ობიექტი: 45100000 – სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „რეალ ენერჯი Real energy“ (ს/ნ: 416307259);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 12 და 27 ივნისს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 12 ივნისის № 12-01191632514 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 6253) და 2019 წლის 26 ივნისის № 12-01191773466 (რეგისტრაციის № 6961), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „რეალ ენერჯი Real energy“-ის (ს/ნ: 416307259) მიერ NAT190004086 ელექტრონული ტენდერის შედეგად დადებული 2019 წლის 2 მაისის № 03.01/30/191 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. შპს „რეალ ენერჯი Real energy“-ს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე baratashvili_s@yahoo.com, 2019 წლის 28 ივნისის № 2470 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა.

1.3. სააგენტოში 2019 წლის 5 და 30 ივლისს წარმოდგენილ იქნა შპს „რეალ ენერჯი Real energy“-ის (ს/ნ: 416307259) 2019 წლის 5 და 29 ივლისის № 05/07-19 და № 29/07-19 განმარტებები (რეგისტრაციის № 7368 და № 8235) № 03.01/30/191 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.4. მიმწოდებელს სააგენტოს 2019 წლის 19 ივლისის № 2854 წერილით ეცნობა, რომ სააგენტო იმ ეტაპზე, არ მიიჩნევდა საჭიროდ მხარეთა ზეპირი მოსმენის გამართვას.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადაში არ დაიწყო 2019 წლის 2 მაისის № 03.01/30/191 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, ამავე ხელშეკრულების 9.5 პუნქტის

„გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 11 ივნისის № 18-01191623622 წერილით ეცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელი წარმოდგენილი განმარტებით არ დაეთანხმა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებას. იმავდროულად, მან მიუთითა, რომ გარდა განმარტებაში მითითებულისა, სხვა მოსაზრებებს წარმოადგენდა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. მიმწოდებელმა ასევე მიუთითა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას მისთვის არ გაუგზავნია გაფრთხილების წერილი სამუშაოების დროულად განხორციელების თაობაზე. ამასთან, მიმწოდებლის განმარტებით, ადგილზე სამშენებლო ობიექტზე განსახორციელებელი სამუშაოების სანარმოებლად საჭირო იყო არსებულ პროექტში ცვლილებების შეტანა, კერძოდ, პროექტის მიხედვით არსებულ სკვერში საჭირო იყო მრავალწლიანი ფიჭვის ხეების მოჭრა. იმ პერიოდისათვის მიმწოდებელს დაწყებული ჰქონდა დემონტაჟისა და მიწის სამუშაოები. კომპანიამ მიუთითა, რომ ასეთი ტიპის სამუშაოების წარმოების დროს ხშირია მსგავსი დაბრკოლებები, რომელთა გადაწყვეტაც ხდება პერიოდულად. ამასთან, მიმწოდებელს ჰქონდა ხელშეკრულებით და მასზე თანდართული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული საკმარისი დრო, რათა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დაესრულებინა ვადის დარღვევის გარეშე.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 25 თებერვალს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა NAT190004086 ელექტრონული ტენდერი გამწვანებული ტერიტორიების მოწყობის სამუშაოების (CPV45112710) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 23 აპრილის № 3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „რეალ ენერჯი Real energy“ (ს/ნ: 416307259) და იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2019 წლის 2 მაისს გაფორმდა № 03.01/30/191 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს უნდა შეესრულებინა სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშეკრულების გაფორმებიდან 75 კალენდარული დღის ვადაში, 2019 წლის 16 ივლისის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 117 207,98 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2021 წლის 13 სექტემბერი.

4.4. მხარეთა შორის გაფორმებული № 03.01/30/191 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს და შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეათანხმოს სამუშაოების წარმოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი, ხოლო 3.3 პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია, სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში. ამასთან, ამავე ხელშეკრულების 9.5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, შემსყიდველ ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში. ამავე ხელშეკრულების 9.2 პუნქტის თანახმად, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, აცნობოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

4.5. საქმეში არსებული 2019 წლის 4 ივნისის ინსპექტირების აქტით, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის 2019 წლის 11 ივნისის № 18-0119162963 და შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 11 ივნისის № 18-01191623622 წერილებით დგინდება, რომ მიმწოდებელს არ დაუწყია სამუშაოების შესრულება მის მიერვე წარდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად და 2019 წლის 4 ივნისისთვის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული გრუნტის, ტერიტორიის კეთილმოწყობისა და სარწყავი ქსელის მოწყობის სამუშაოები კომპანიას არ ჰქონია დაწყებული.

4.6. მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 11 ივნისის № 18-01191623622 წერილით ეცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.

4.7. საქმეში არსებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის 2019 წლის 26 ივნისის № 18-01191772717 წერილით დგინდება, რომ 2019 წლის 2 მაისის № 03.01/30/191 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიამ დაიწყო ფილების დემონტაჟი, მაგრამ არ შეუსრულებია რაიმე ღირებულების სამუშაო. ამასთან, მხარეთა შორის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გაფორმებულა მიღება-ჩაბარების აქტი (კომპანიას არ წარმოუდგენია შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „რეალ ენერჯი Real energy“-ს უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის განმარტებაზე და მიუთითებს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ ყოფილა შემსყიდველი ორგანიზაციის ვალდებულება, ხელშეკრულება შეენწყვიტა მხოლოდ მიმწოდებლის გაფრთხილების შემდგომ. რაც შეეხება მიმწოდებლის მიერ მითითებულ ცვლილებების აუცილებლობას, სააგენტო აღნიშნავს, რომ მიმწოდებელს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ხსენებული ცვლილებების თაობაზე შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მიმართვის ფაქტი, მაშინ, როდესაც №03.01/30/191 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების 12.1 პუნქტის თანახმად, თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია, შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის მითითებაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მას ჰქონდა ხელშეკრულებით და მასზე თანდართული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული საკმარისი დრო, რათა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დაესრულებინა ვადის დარღვევის გარეშე. სააგენტო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 9.5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, შემსყიდველ ორგანიზაციას შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში. შესაბამისად, მიმწოდებლის პოზიცია ვერ იქნება გაზიარებული.

7.4. ამდენად, ზემოთ მოცემული მსჯელობისა და ფაქტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.


7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად, შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა, მაგრამ სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში იძებნება ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად შესრულებული და მიმდინარე არაერთი ხელშეკრულების შესახებ. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „რეალ ენერჯი Real energy“ შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაზომიერი შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „რეალ ენერჯი Real energy“-ს (ს/ნ: 416307259) 2019 წლის 6 აგვისტოს მიეცეს გაფრთხილება.
2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტრონულად 

ლევან რაზმაძე